პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ.პ.(ბ) ც.კ-ის და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП(б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 230 (9390) | შაბათი, 27 სექტემბერი 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

გულმართალი და პატიოსანი ვიყოთ პარტიის წინაშე — «პრავდის» 26/IX მოწინავე (1-ლი გვერდი).

ახალი მიღწევებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში პარტიის XIX ყრილობის შესახვედრად (1-ლი გვერდი).

ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობისათვის. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის აქტუალური საკითხები. გავადიდოთ მარგანეცის ამოღება. გათუმელ კომუნისტთა წინადადებანი. ორი შენიშვნა (მე-2 გვერდი).

წერილები რედაქციას. თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიის ერთი უხამსი დამახინჯებების გამო. ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდებანი (მე-2 გვერდი).

ქართველი პოეტები XIX ყრილობას. ვ. ბერიძე — ... ... — ... ... — ... ...

ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობისათვის

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის აქტუალური საკითხები

ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი მზრუნველობის შედეგად განუწყვეტლივ იზრდება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღჭურვა პირველხარისხოვანი ტექნიკით. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობა ყველაზე მსხვილი და მექანიზებულია მსოფლიოში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ყოველწლიურად ივსება ახალი ტექნიკით. ჩვენს მტს-ებს აქვთ პირველხარისხოვანი, მძლავრი მანქანები. გასულ წელს მნიშვნელოვნად შეივსო სატრაქტორო პარკი, შემოტანილ იქნა 735 ტრაქტორი, 218 კომბაინი, 1.265 სატრაქტორო გუთანი და დიდძალი სხვა მისაბმელი ინვენტარი. მიმდინარე წელს უკვე შემოტანილია 130 კომბაინი და ბევრი მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი. ბოლშევიკურმა პარტიამ საკოლმეურნეო სოფელში მზრუნველობით აღზარდა მექანიზატორთა შესანიშნავი კადრები, რომლებიც დაეუფლნენ რთული მანქანების მართვის ტექნიკას. საქართველოში არის 95 მანქანა-ტრაქტორთა სადგური და 3 მეცხოველეობის სამანქანო სადგური. სოფლის მეურნეობის მექანიზატორები დიდ დახმარებას უწევენ ჩვენს კოლმეურნე გლეხობას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების საქმეში.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია კოლმეურნეობებში მინდვრის ძირითად სამუშაოთა მექანიზაციის დამთავრება, მეცხოველეობის, მებოსტნეობის, მებაღეობის შრომატევად სამუშაოთა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადაზიდვის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის, რწყვის, დაჭაობებული სავარგულების ამოშრობისა და ახალი მიწების ათვისების სამუშაოთა მექანიზაციის ფართოდ გაჩაღება.

ჩვენი სოფლის მეურნეობის მექანიზატორების წინაშე ისმება შემდეგი არსებითი საკითხები: მარცვლეული, ტექნიკური და საკვები კულტურების სამუშაოთა მოცულობის საგრძნობლად გადიდება, ამ მხრივ არსებული დიდი რეზერვის გამოყენება.

ჩვენს მტს-ებში მძლავრ, მოწინავე ტექნიკას სუსტად და უუნაროდ იყენებენ. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე არადამაკმაყოფილებელია. კიდევ უფრო ცუდად არის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საქმე მეცხოველეობაში.

სრულიად არასაკმაოდ იყენებენ კომპლექსურ მექანიზაციას მარცვლეული კულტურების, მეჭარხლეობისა და მეკარტოფილეობის მეურნეობებში, საკოლმეურნეო კალოებზე. მთელ რიგ მტს-ებში დაბალია ტრაქტორების გამომუშავება. მოწინავე მტს-ების მაგალითები ცხადყოფენ, რომ ზოგან ყველა პირობა არ არის გამოყენებული თვითეული 15-ძალიანი ტრაქტორის საშუალო წლიური დატვირთვის გასადიდებლად. მემინდვრეობაში სამუშაოთა მექანიზაციის დონე თვალსაჩინოდ უნდა გადიდდეს. ეს კი სოფლის მეურნეობის მექანიზატორებისაგან მოითხოვს არსებული ტექნიკის მთლიანად გამოყენებას. ამ საქმეში მექანიზატორებს სერიოზული დახმარება უნდა გაუწიონ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ხაზით მომუშავე მეცნიერმა მუშაკებმა.

ჩვენი სოფლის მეურნეობის დარგებში ყველაზე ნაკლებად მექანიზებულია სამუშაოები ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა კონსერვატიულ დამოკიდებულებას იჩენდა ჩაის კრეფის მექანიზაციის პრობლემისადმი, რის გამო სათანადო ღონისძიებანი ცუდად მუშავდებოდა.

საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობამ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების საბრძოლო ამოცანად დასახა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება და ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის 1953 წლიდანვე დაწყება.

საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ თქვა: „ჩაის პლანტაციების სამუშაოთა — პლანტაციების დამუშავების, ჩაის ბუჩქის გასხვლისა და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის — მექანიზაციის საკითხებს უაღრესად სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი. ჩვენმა სპეციალისტებმა ამ საქმეში უკვე მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს. ოღონდ საჭიროა მტკიცედ დავუჭიროთ მათ მხარი. მე დავათვალიერე ჩაისსაკრეფი მანქანა ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში და დავრწმუნდი, რომ კიდევ ცოტაოდენი ღონისძიება, და ჩვენ შეგვძლებთ მივცეთ მეჩაიეებს ასეთი მანქანა. ჩაის პლანტაციების სამუშაოთა მექანიზაცია დიდი საქმეა. ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ დავეხმაროთ ამაზე მომუშავე ჩვენს სპეციალისტებს“. ამ მითითების შესასრულებლად ჩვენ, სპეციალისტები, არ დავიშურებთ ძალასა და ენერგიას.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ისმება მექანიზატორთა კადრების მომზადების საკითხი. ახალი ტექნიკის ასათვისებლად კადრების მომზადებასა და გადამზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ახალ ხუთწლედში უფრო ფართოდ უნდა გაჩაღდეს მექანიზატორთა კადრების მომზადება, მაღალ დონეზე იქნას აყვანილი მუშაობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, მექანიზაციის სკოლებსა და იმ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც ამზადებენ მექანიზატორებს სოფლის მეურნეობისათვის. ამ სასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ახალი ტექნიკის შესწავლას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე პრაქტიკის გამოცდილების ათვისებას და ამ მიმართულებით გადაამუშაონ სასწავლო პროგრამებიც.

ტრაქტორისტების გამომუშავებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავე მექანიზატორების მიერ შემუშავებული მეთოდით მუშაობას. მეხუთე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს საათობრივი გრაფიკით მუშაობის დანერგვის ორგანიზაცია ყველა მტს-ში, სატრაქტორო ბრიგადაში და ყველა აგრეგატზე. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში სატრაქტორო ბრიგადების ოპერატიული, კონკრეტული ხელმძღვანელობისათვის შემოღებულია დისპეტჩერული სამსახური, რისთვისაც მტს-ები მარაგდებიან ახალი ტექნიკური საშუალებებით, რესპუბლიკის 44 მტს-ში მოწყობილია დისპეტჩერული სამსახური ორმხრივი რადიოკავშირით ცენტრალურ კარმიდამოსა და სატრაქტორო ბრიგადებს შორის. ეს სასარგებლო ღონისძიებაა და იგი ფართოდ უნდა დავნერგოთ.

ომისშემდგომ ხუთწლედში საგრძნობლად გაიზარდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სარემონტო ბაზა, მტს-ებში აშენდა მიმდინარე რემონტის ახალი ტიპის ბევრი სახელოსნო, მთავრდება და ნაწილობრივ ამუშავდა დიდმის კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნო; დაწყებულია აბაშისა და წნორის კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოს მშენებლობა. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის თანახმად უნდა აშენდეს გურჯაანისა და ქარელის ქარხნები. მტს-ებმა და სახელოსნოებმა უკანასკნელ წლებში დიდი რაოდენობით მიიღეს სახარატო ჩარხები და სხვა მოწყობილობა, ხელსაწყო-იარაღები. დანადგართა წესიერი გამოყენება საგრძნობლად აუმჯობესებს რემონტის ხარისხს, აადვილებს შრომას, აკლებს დანახარჯებს. მიმდინარე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს სახელოსნოების მშენებლობა და ყველა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მომარაგება სათანადო ჩარხ-დანადგარებითა და ხელსაწყო-იარაღებით.

რემონტის ხარისხის გასაუმჯობესებლად შემოღებულია მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტის კვანძური მეთოდი ახალი ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. მისი გავრცელება ყველა მტს-ში მიმდინარე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს. კვანძური მეთოდით რემონტის ჩატარება ამაღლებს რემონტის ხარისხს, 30-35 პროცენტით ზრდის წარმადობას რემონტზე, იძლევა სარემონტო მოწყობილობის უფრო რაციონალურად გამოყენების საშუალებას, ამაღლებს რემონტზე მომსახურეთა კადრების კვალიფიკაციას, აკლებს თვითღირებულებას და ტრაქტორების რემონტში დგომის ხანგრძლივობას.

საქართველოს რელიეფის მიხედვით ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და დამუშავებული ფერდობებზე სატრაქტორო აგრეგატის გამოყენების საკითხი. იმ ამოცანების განხორციელება, რაც პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტშია მოცემული, საქართველოს მექანიზატორებისაგან მოითხოვს დიდ მუშაობას და ბევრი ახალი საკითხის გადაჭრას, მანქანა-ტრაქტორთა პარკის ჩვენი რესპუბლიკის სპეციფიკურ პირობებთან შეგუებით გამოყენების ძირფესვიანად გაუმჯობესებას. სოფლის მეურნეობის მექანიზაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოსაგვარებლად უსათუოდ აქტუალურია წინადადება, რომ თბილისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნას სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზატორები აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ საბრძოლო ამოცანები, რაც პარტიამ, დიდმა სტალინმა სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს დაგვისახეს.

ს. ვაჩეიშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების სამმართველოს უფროსის მოადგილე, მთავარი ინჟინერი.

ორი შენიშვნა

პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის მესამე პარაგრაფში ნათლად არის განსაზღვრული პარტიის წევრის მოვალეობანი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კომუნისტებისადმი მომთხოვნელობას, ამაღლებს პარტიის წევრის სახელწოდებას.

პარტია გადაჭრით ებრძვის უპატიოსნობასა და თავაშვებულობას ყოფაცხოვრებაში, რადგან ისინი სერიოზულ ზიანს აყენებენ პარტიის, ხალხის, სახელმწიფოს ინტერესებს. პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში ნათქვამია, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტი პასუხისგებაში აძლევს კომუნისტებს, რომლებიც დამნაშავენი არიან ყოფაცხოვრებითს თავაშვებულობაში.

ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული კომუნისტი მოვალეა - მაგალითს იძლეოდეს ყოფაცხოვრებაში. მაგრამ პარტიის წევრის მოვალეობებში ამაზე არაფერია ნათქვამი. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია წესდების პარაგრაფი პარტიის წევრის მოვალეობათა შესახებ შეივსოს ახალი პუნქტით, რომელშიც უნდა ჩაიწეროს, რომ პარტიის წევრი მოვალეა მაგალითს იძლეოდეს ყოფაცხოვრებაში, რომ ყოფაცხოვრებითი თავაშვებულობა დანაშაულია პარტიის წინაშე და შეუთავსებელია მის რიგებში ყოფნასთან.

პარტიის საფუძველს წარმოადგენენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები. წესდების პროექტის მიხედვით პარტიაში მიღების საკითხი იხილება და წყდება პირველადი პარტორგანიზაციების საერთო კრებებზე. ვფიქრობთ, სწორი იქნება, თუ პარტიიდან გასარიცხი ყველა კომუნისტის საკითხსაც პირველადი პარტორგანიზაციის საერთო კრება განიხილავს. პირველადი პარტორგანიზაციისათვის ამ უფლების მინიჭება განამტკიცებს მის ბრძოლისუნარიანობას, გაზრდის პასუხისმგებლობას და აამაღლებს მის როლს.

თ. თენეიშვილი,
თბილისის ვაჟთა მე-6 საშუალო სკოლის მასწავლებელი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი.

მ. ლომინაძე,
საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი.

ქმედითი კრიტიკისათვის

პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში აღნიშნულია, რომ კომუნისტი მოვალეა ამხილოს ნაკლოვანებანი, აცნობოს მათ შესახებ ხელმძღვანელ ორგანოებს. პარტიის ზოგიერთი წევრი ხშირად ამჩნევს ნაკლს, ჩრდილოვან მხარეებს მუშაობაში, მაგრამ მათ შემჩნევისთანავე კი არ ამხილებს, არამედ უცდის შესაფერ მომენტს, ხშირ შემთხვევაში პარტიულ კრებას.

რა თქმა უნდა, კრიტიკა კარგია, მაგრამ გაცილებით უფრო კარგი და საქმისათვის საჭიროა დროული და ქმედითი კრიტიკა.

ამასთან დაკავშირებით ჩემი წინადადებაა პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის მესამე პარაგრაფის მერვე პუნქტში ჩაიწეროს, რომ კომუნისტი მოვალეა **დაუყოვნებლივ აცნობებდეს** ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს, პარტიის თვით ცენტრალურ კომიტეტამდე, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, პიროვნების მიუხედავად.

ე. აქუბარდია,
საკ. კ. პ. (ბ) წევრი, სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

ბათუმელ კომუნისტთა წინადადებანი

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბათუმის მშრომელების უდიდესი კმაყოფილება და ერთსულოვანი მოწონება გამოიწვია ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დირექტივებისა და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტების გამოქვეყნებამ.

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ მოაწყო საყრილობო მასალების შესწავლა და პარტიული მასების მიერ მათი ფართო განხილვა. გაიმართა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები და ბათუმის პარტიული აქტივის საქალაქო კრება, რომლებზეც კომუნისტებმა გულდასმით განიხილეს და მოიწონეს საყრილობო მასალები.

კომუნისტები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი, რომელშიც გამოხატულია პარტიისა და საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი დიდი ცვლილებები, მთლიანად უპასუხებს ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე პარტიის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ამასთან ერთად კომუნისტებს შემოაქვთ თავიანთი შენიშვნები და საყურადღებო წინადადებები. საზღვაო-ნსსწავლებლის უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ამხ. ლ. უკლება წინადადებას აყენებს, რომ დაზუსტდეს წესდების პროექტის მეორე პარაგრაფი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს კომუნისტური პარტიის წევრი. იგი მოითხოვს, რომ სიტყვა „მოქალაქის“ შემდეგ ამ პარაგრაფიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „რომელიც ექსპლოატაციას არ უწევს სხვის შრომას“ როგორც ზედმეტი, რადგან ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატაცია დიდი ხანია მოსპობილია. გარდა ამისა ამხ. უკლებას საჭიროდ მიაჩნია საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები იწვეოდეს არა თვეში ერთხელ, როგორც წესდების პროექტი ითვალისწინებს, არამედ ორ თვეში ერთხელ. წინააღმდეგ შემთხვევაში, — ამბობს იგი, — პლენუმებს შორის დრო ძალიან მცირე რჩება პლენუმების მომზადებისა და მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებისათვის. ეს დატვირთავს საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაკებს და წაართმევს მათ საშუალებას ხშირად მიდიოდნენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ოპერატიული ხელმძღვანელობისა და დახმარების გასაწევად.

კომუნისტმა თ. ბეჩინმა შემოიტანა წინადადება შესწორებულ იქნას წესდების პროექტის პირველი თავი. პირველი პარაგრაფი, რომელშიც მოცემულია კომუნისტური პარტიის განმარტება და ლაპარაკია პარტიის მთავარ ამოცანებზე, გამოიყოს როგორც შესავალი ნაწილი. ამასთან დაკავშირებით პირველ თავს ეწოდოს: „პარტიის წევრები, მათი უფლებები და მოვალეობანი“. მესამე პარაგრაფის „გ“ პუნქტში სიტყვებს: „მაგალითს იძლეოდეს შრომაში“ დაემატოს: „და პირად ცხოვრებაში“. ამით წესდებაში განსაზღვრული იქნება კომუნისტის ყოფაქცევა ოჯახში, საზოგადოებაში, ამხანაგებთან ურთიერთობაში.

ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს, ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანს ამხ. მ. მურვანიძეს საჭიროდ მიაჩნია გადიდებულ იქნას საანგარიშო პერიოდი პარტიის საოლქო კომიტეტებისათვის 2 წლამდე, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისათვის 3 წლამდე. გარდა ამისა, ამხ. მურვანიძემ წამოაყენა წინადადება წესდებაში კონკრეტულად იქნას განსაზღვრული საწევრო შესატანის რაოდენობა კოლმეურნეების, მოსწავლეებისა და დიასახლისებისათვის.

კომუნისტმა ამხ. შ. ჭილაიამ მხარი დაუჭირა მოსკოვის ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კომუნისტთა წინადადებას, რომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო კრებები მოიწყოს არა ყოველწლიურად, არამედ წელიწადნახევარში ერთხელ.

კომუნისტებმა ამხ. ა. ბერიძემ და ნ. ხაზარაძემ აზრი გამოთქვეს, რომ რაიონული ან საქალაქო კომიტეტის მდივნად წამოყენების დროს საჭიროდ ჩაითვალოს პარტიის წევრობის 3 წლის სტაჟთან ერთად ხელმძღვანელ პარტიულ თანამდებობაზე მუშაობის ერთი წლის გამოცდილება, ხოლო საოლქო კომიტეტის მდივნად წამოყენებისას — 5 წლის პარტიული სტაჟი და ხელმძღვანელ პარტიულ თანამდებობაზე მუშაობის 3 წლის გამოცდილება.

სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. შ. მაქაცარია აღნიშნავს, რომ კომუნისტი ახალი ცხოვრებისათვის მოწინავე მებრძოლია. იგი თავისუფალია ყოველგვარ ცრურწმენათაგან. კომუნისტი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს ყველაფერში— შრომაში, ადამიანებთან ურთიერთობაში, ოჯახში. იგი უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს თავისი ბავშვების აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით. ამიტომ ამხ. მაქაცარიას საჭიროდ მიაჩნია წესდებაში განსაზღვრული იყოს კომუნისტის ყოფაქცევა პირად ცხოვრებაში და მისი პასუხისმგებლობა ბავშვების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

კომუნისტების აქტიური მონაწილეობა საყრილობო მასალების განხილვაში, მათი საქმიანი შენიშვნები და საყურადღებო წინადადებები მოწმობენ, რომ ამ ისტორიულ დოკუმენტებს ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ ფართო პარტიული მასები, მიაჩნიათ ისინი პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის უმაგალითო აღმავლობის მტკიცე საფუძვლად.

ბათუმის პარტიული ორგანიზაცია, აღფრთოვანებული პარტიის XIX ყრილობის ისტორიული დოკუმენტებით, ყრილობისათვის მზადების დღეებში აძლიერებს მუშაობას, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას საქალაქო და საოლქო კომიტეტების ყოფილი ხელმძღვანელობის დიდი შეცდომებისა და პოლიტიკური ჩავარდნების შედეგები, კვლავ ჩადგეს ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის მოწინავე რაზმთა რიგში.

ვ. ყიფიანი,
საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

გავაღიდოთ მარგანეცის ამოღება

შ. შეულაშვილი,
ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველი.

სტალინურ ხუთწლედებში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ სავსებით შეიცვალა თავისი საწარმოო სახე. აშენდა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ახალი მაღაროები და გამამდიდრებელი ფაბრიკები, მრეწველობის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის შეიქმნა მტკიცე საწარმოო-ტექნიკური ბაზა.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის მანძილზე მოპოვებულმა სერიოზულმა მიღწევებმა შექმნეს იმის სრული შესაძლებლობა, რომ მარგანეცის მრეწველობამ კიდევ უფრო გაუმჯობესოს მუშაობა, გაზარდოს წარმოების მოცულობა და წარმატებით შეასრულოს მის წინაშე დასახული ამოცანები.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტში სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახულია ჩვენი ქვეყნის ზრდა-განვითარების უდიდესი პერსპექტივები, კერძოდ გათვალისწინებულია შავი მეტალურგიის კოლოსალური ზრდა.

ახალ ხუთწლედში თუჯისა და ფოლადის წარმოების შემდგომი უმაგალითო ზრდა მოითხოვს მარგანეცის მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებას, რაც ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მთელ კოლექტივს ახალ ამოცანებს აკისრებს. მეხუთე ხუთწლედის ბოლოს სასაქონლო მარგანეცის მადნის წარმოების მოცულობა სულ მცირე 54 პროცენტით უნდა გაიზარდოს 1950 წელთან შედარებით. განსაკუთრებით იზრდება მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების მოცულობის დონე.

ამ მეტად პასუხსაგები დავალების შესასრულებლად ჭიათურის მაღაროებში მუშაობა გაშლილია ბოლშევიკური ტემპით. ტრესტმა წარმატებით შეასრულა სასაქონლო მარგანეცის მადნის დამზადების ახალი ხუთწლედის პირველი წლის (1951 წელი) სახელმწიფო გეგმა, მნიშვნელოვნად გაზარდა წარმოების დონე და პროდუქციის სადღეღამოსო დამზადება. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1951 წელს, 1950 წლის დონესთან შედარებით, მარგანეცის მადნის გამოღება გაიზარდა 22,8 პროცენტით, პროდუქციის დამზადება—19 პროცენტით, ხოლო პირველი ხარისხის პროდუქციის წარმოება — 26,8 პროცენტით.

მაღაროელებმა წელს კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი და ახალ საწარმოო აღმავლობას მიაღწიეს. სასაქონლო პროდუქციის დამზადების 9 თვის გეგმა შესრულებულია ვადამდე— 12 სექტემბრისათვის.

მარგანეცის მრეწველობა ყოველწლიურად აუმჯობესებს მუშაობას, წარმატებით ასრულებს გეგმას, მაგრამ სასაქონლო მარგანეცის მადნის წარმოების მოცულობის ზრდა, რაც მეხუთე ხუთწლედშია გათვალისწინებული, მეტწილად მიღწეულ იქნება მაღაროების ახალი ტექნიკური შეიარაღებით. მთლიანად მექანიზებული იქნება მადნის მოპოვების შრომატევადი პროცესები, შეიქმნება მაღალნაყოფიერი და კულტურული მუშაობის ყოველგვარი პირობები.

ახალი ხუთწლედი შრომის ნაყოფიერების კოლოსალური ზრდის ხუთწლედი იქნება. მარგანეცის მრეწველობაში სულ მცირე 50 პროცენტით გაიზრდება მადნის გამოღებასა და გადიდრებაზე მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება. ძირითადად ეს მიღწეულ იქნება წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვით, საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლებით, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მარგანეცის მრეწველობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებით, შრომის ნოვატორული მეთოდების ფართოდ დანერგვითა და სტახანოველთა რიგების გამრავლებით.

მარგანეცის მრეწველობაში დღითიდღე იზრდება საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონე, მარგანეცის მადნის მონგრევა, მისი გამდიდრება და ზიდვა როგორც მიწის ქვეშ, ისე მიწის ზედაპირზე მთლიანად მექანიზებული წესით ხორციელდება, მაგრამ ამჟამად ჩვენი წარმოების მთელი კოლექტივის სერიოზულ ნაკლად ითვლება ის, რომ ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას ყველაზე მძიმე და შრომატევადი პროცესის — მადნის დატვირთვის მექანიზაცია სანგრევებში. მართალია, მექანიზებული წესით მადნის დატვირთვა 1951 წელს 1950 წელთან შედარებით 108.6 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ საერთო გამოღებაში მისი ხვედრითი წილი დაბალია და 17-18 პროცენტს არ აღემატება.

ახალ ხუთწლედში მრეწველობის მთელი კოლექტივის შემოქმედებითი აზრი და მუშაობა უნდა წარიმართოს მადნის დატვირთვის მექანიზაციის დარგში არსებული ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. წარმოებაში ფართოდ უნდა დაინერგოს ახალი კონსტრუქციის სატვირთავი მანქანები, რომლებიც ყოველგვარი გეოლოგიური აგებულებისა და ფიზიკური თვისებების მქონე მარგანეცის მადნის დატვირთვაზე წარმატებით იმუშავებენ. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ამჟამად მოქმედი სატვირთავი მანქანებისა და სასკრეპერო დანადგარების ნაყოფიერება. მთელი მუშაობა ამ მიმართულებით ისე უნდა წარიმართოს, რომ ხუთწლედის ბოლოს მიღწეულ იქნას მარგანეცის მადნის მოპოვების ყველა ძირითადი საწარმოო პროცესის მთლიანი მექანიზაცია, რისთვისაც საჭირო იქნება მაღაროებში ფართოდ გაიშალოს საკომპრესორო მეურნეობის მშენებლობა.

მარგანეცის მადნის გამდიდრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გაუმდიდრებელი მარგანეცის მადანში მანგანუმის შემცველობა 20-34 პროცენტს შეადგენს, ხოლო გამდიდრების შემდეგ იმავე მადანში მანგანუმის რაოდენობა აღწევს 50-54 პროცენტს და მეტალურგიისათვის საუკეთესო ნედლეულს წარმოადგენს.

მადნის გამდიდრების განვითარება, გამამდიდრებელი ფაბრიკების მაღალნაყოფიერი მუშაობა, გამდიდრების პროცესში მეტალური მარგანეცის მადნის ამოკრეფის მაღალი დონე დიდად ზრდის მარგანეცის პროდუქციის წარმოების მოცულობას და იძლევა იმის საშუალებას, რომ რაციონალურად და მთლიანად გამოვიყენოთ ის ბუნებრივი სიმდიდრეები, რომლებიც უხვად მოიპოვება მიწის წიაღში. ამიტომ ახალ ხუთწლედში ამ მხრივ ტრესტის წინაშე გრანდიოზული ამოცანებია დასახული.

ფაბრიკებში დაინერგება მადნის გამდიდრების გაუმჯობესებული ტექნოლოგია, მინიმუმამდე შემცირდება მანგანუმის დანაკარგები და საგრძნობლად გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. ფაბრიკაში დაიდგმება გაუმჯობესებული კონსტრუქციის მანქანები. გათვალისწინებულია ამ მანქანების მართვის ავტომატიზაცია და გამდიდრების ყველა პროცესის სრული მექანიზაცია.

მარგანეცის მადნის წვრილი კლასების გამდიდრებამ მაღალი სიხშირის დამლეკ მანქანებში საუკეთესო შედეგები მოგვცა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მადნის წვრილი კლასების რაციონალურად გამდიდრების საქმეს.

ახალ ხუთწლედში დიდი ყურადღება დაეთმობა მარგანეცის მადნის შლამებისა და ნარჩენების დასაწყობების საქმეს, ამ მიზნით ფართო მასშტაბით გაიშლება სასაწყობო მეურნეობის მშენებლობა.

ამჟამად არსებული საჰაერო საბაგირო გზები მეხუთე ხუთწლედში ვერ უზრუნველყოფენ მარგანეცის მადნის შეუფერხებელ ტრანსპორტირებას მაღაროებიდან გამამდიდრებელ ფაბრიკებამდე. ამიტომ გათვალისწინებულია ახალი საჰაერო საბაგირო გზების მშენებლობა.

მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ახალ ხუთწლედში მაღაროებში და ქალაქში აშენდება კეთილმოწყობილი ახალი საცხოვრებელი სახლები და კლუბები. ქალაქ ჭიათურაში უახლოეს პერიოდში აშენდება საშუალო სკოლის შენობა, ლენინის სახელობის და დიმიტროვის სახელობის მაღაროებში აშენდება ახალი მუშათა კლუბები, დამთავრდება ტრესტის ადმინისტრაციული შენობის და საავადმყოფოს მშენებლობა. ქალაქ ჭიათურაში წინოშვილისა და წერეთლის ქუჩებზე აშენდება ახალი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ლამაზ არქიტექტურულ ანსამბლს შექმნიან და ქალაქის ერთ-ერთ ძირითად მაგისტრალს კეთილმოწყობილი ქუჩის დასრულებულ სახეს მისცემენ.

მეხუთე ხუთწლედში გათვალისწინებულია მარგანეცის მაღაროებისა და ქალაქის კეთილმოწყობაზე დაიხარჯოს ძრავალი მილიონი მანეთი, აქედან ბინათმშენებლობაზე დაიხარჯება 44 მილიონი მანეთი, ხოლო კულტურულ-საგანმანათლებლო ნაგებობათა მშენებლობაზე — 35 მილიონი მანეთი. ახალ ხუთწლედში აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 42 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. წარმოების მუშები ძირითადად უზრუნველყოფილი იქნებიან კულტურულად მოწყობილი საერთო საცხოვრებელი ბინებით, ხოლო ცოლშვილიანებისათვის აიგება ინდივიდუალური ბინები დეკორაციული ეზოებით.

მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების მაღალი ტექნიკური შეიარაღება და წარმოების საერთო აღმავლობა სახავს მადნის თვითღირებულების შემცირების დიდ შესაძლებლობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობამ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშაკთა წინაშე დასახა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები, რომელთა განხორციელება მოითხოვს დიდ შემოქმედებით მუშაობას. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით ჭიათურელი მაღაროელები წარმატებით შეასრულებენ ახალ ხუთწლედში მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

წერილები რედაქციას

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის ერთი უხამსი დამახინჯების გამო

მოსკოვის ჟურნალ „ქირურგიის“ 1952 წლის მე-7 ნომერში მოთავსებულია სტატია განსვენებულ პროფესორ ვ. ი. რაზუმოვსკის შესახებ. სტატიის ავტორი პროფესორი ს. ა. იაკობსონი, აღნიშნავს რა განსვენებული პროფესორის დამსახურებას, მკითხველის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ რაზუმოვსკის თბილისში ყოფნის წლები „აღინიშნა ორგანიზაციული ხასიათის დიდი საქმეებით“. ერთ-ერთ ამ დიდ საქმედ სტატიის ავტორს მიაჩნია ის, რომ, როგორც იგი წერს, პროფესორი რაზუმოვსკი, „ხელმძღვანელობდა რა ყოფილ მეფის კოლონიაში კულტურისა და განათლების კერების დანერგვისადმი მისწრაფებით“, გახდა 1918 წელს „თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი“ (იხ. აღნიშნული ჟურნალის გვ. 7-8).

პროფესორი იაკობსონი ისეთი კოლოთი წერს, რომ საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა შეიძლება სრულიად ადვილად დაუჯეროს კიდეც და დარწმუნდეს, რომ თბილისის უნივერსიტეტი მართლაც პროფესორ ვ. რაზუმოვსკის დაარსებული იყოს.

ფაქტიურად კი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებასთან პროფესორ რაზუმოვსკის არავითარი კავშირი არა ჰქონია.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის ნაწილში ჩაისახა აზრი თბილისში უნივერსიტეტი დაეარსებინათ, და, როგორც ცნობილია, ამ ინტელიგენციის წარმომადგენლებმა (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ხ. ცხვედაძე და სხვები) ერთგვარი პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგეს ამ მიმართულებით.

ბოლშევიკები ყოველნაირად უჭერდნენ მხარს თბილისში უნივერსიტეტის გახსნის იდეას. ბოლშევიკური პრესა ულმობლად ამხილებდა ბნელეთისმოყიქულთა მანევრებს, რომლებიც წინ ეღობებოდნენ უნივერსიტეტის გახსნას, რათა თავი დაეზღვიათ კავკასიაში „პოლიტიკური შეთქმულების“ უფრო მეტად გაღრმავებისაგან.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველ მეცნიერთა მცირე ჯგუფმა განსვენებული აკადემიკოსის ი. ა. ჯავახიშვილის მეთაურობით სცადა ხალხის დიდი ხნის ოცნების განხორციელება.

მაგრამ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის საკითხი დადებითად არ გადაჭრილა არც თებერვლის რევოლუციის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ საინიციატივო ჯგუფი ცდილობდა დროებითი მთავრობისაგან მიეღო ნებართვა, მან ეს ვერ მიიღო, კერენსკის მთავრობამ ეს ნებართვა არ გასცა.

თბილისში უნივერსიტეტის დაარსების იდეას განხორციელება არ ეღირსა მანამდე, სანამ საბოლოოდ არ დაემხო რუსეთის ხალხთა ჩაგვრის პოლიტიკა. ეს მოხდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად, რომლის ცხოველმყოფელმა სიომ შესაძლებლობა მისცა ქართველ მეცნიერ-ინიციატორთა ჯგუფს, მეშვიდეკური ხელისუფლების ნებისა და მხარდაჭერის გარეშე, საქართველოს მშრომელთა ფართო მასების მორალური და ნივთიერი მხარდაჭერით, 1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) გაეხსნა თბილისის უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებლის სახით.

არავითარი კავშირი ამ საქმესთან პროფესორ რაზუმოვსკის არ ჰქონია. იმ დღეებში, როცა რუსეთის სამეცნიერო ცენტრებიდან ჩამოსულ ქართველ მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი გამალებით იღწვოდა უნივერსიტეტის გახსნისათვის, პროფესორი რაზუმოვსკი, როგორც კავკასიის არმიის ქირურგი, მცირე აზიისა და ირანის ფრონტებზე იმყოფებოდა. და მხოლოდ კავკასიის ფრონტის დაშლისა და სამეფისნაცვლო დაწესებულებათა გაუქმების შემდეგ მეფის მოხელეთა ერთი ნაწილი შეუდგა თბილისში არსებულ ქალთა უმაღლესი კურსების გადაკეთებას (1918 წლის ივნისიდან) ეგრეთწოდებულ „კავკასიის უნივერსიტეტად“. ე. ი. მის შემდეგ, რაც თბილისის უნივერსიტეტი უკვე დაარსებული იყო, მუშაობდა და ვითარდებოდა. ამგვარად შექმნილმა „კავკასიის უნივერსიტეტმა“ იარსება მხოლოდ რამდენიმე თვე და არავითარი კვალი არ დაუტოვებია.

ეჭვს გარეშეა, სტატიის ავტორი პროფესორი იაკობსონი განზრახ ამახინჯებს ფაქტებს. თუ პროფესორმა იაკობსონმა შეისწავლა პროფესორ ვ. რაზუმოვსკის თბილისის პერიოდი (თუ არ შეუსწავლია, რატომ სწერს ამ პერიოდზე?), მას არ შეეძლებოდა არ სცოდნოდა საქმის ფაქტიური მხარე.

ფაქტია, რომ პროფესორ რაზუმოვსკის, რომლის ცნობილ დამსახურებასაც სამედიცინო მეცნიერების წინაშე ჩვენ აქ არ ვეხებით, არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია თბილისის უნივერსიტეტთან არც მისი ორგანიზაციის პერიოდში და არც შემდეგ.

ამიტომ პროფესორ იაკობსონის სტატიას, რომელიც ამახინჯებს ფაქტებს თბილისის უნივერსიტეტის ისტორიიდან, მკითხველის მხოლოდ დეზორიენტირება შეუძლია. განსვენებულ პროფესორ ვ. რაზუმოვსკის მრავალგვარი დამსახურება აქვს, მაგრამ რა საჭიროა მივაწეროთ მას თბილისის უნივერსიტეტის დაარსება?

ნ. კეცხოველი,
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების შესახებ

საქართველოში მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებები აქვთ, რომლებიც მოძველდნენ თავიანთი შინაარსით და მათი შეცვლა სასურველია ახალი, ჩვენი სოციალისტური ქვეყნის შესაბამი სახელწოდებებით.

აღნიშნული გეოგრაფიული სახელწოდებები შეიძლება გავყოთ სამ ჯგუფად:

1. ძველი ტანჯვა-ვაებისა და უბედურების ამსახველი გეოგრაფიული სახელწოდებები, რაც შავბნელი წარსულის შედეგია. ასეთებია:

არაშენდა (ახმეტის, გორის, კაჭრეთისა და მცხეთის რაიონები); დამპალეთი (სტალინირის რაიონი); ველურა (ლენინგორის რაიონი); ვერნები (ხულოს რაიონი); ვერანა კარწახი (ახალქალაქის რაიონი); ნაოხრები (ახალციხის რაიონი); უკუღმართი (თიანეთის რაიონი); შიმშილაქედი (თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონები) და სხვ.

როგორც ამ სახელწოდებებიდან ჩანს, თვითეული მათგანი წარსულში, ალბათ, გავერანებული, გაოხრებული, გატანჯული და დამშეული იყო. მაგრამ ეს სახელწოდებები დღეს მხოლოდ გაჟვირვებას იწვევს და, ცხადია, მათი შეცვლა აუცილებელია.

2. შეურაცხყოფის მომყენებელი სახელწოდებები და ისეთი უცნაური სახელწოდებები, რომლებიც არაფრის მთქმელი არ არის:

დანისპარაული (ხულოს რაიონი); დიდი არაქალი და პატარა არაქალი (ბოგდანოვკის რაიონი); თაგვეთი (ხაშურის რაიონი); ნადუქნარი (ახმეტის რაიონი); ნაქურდევი (ადიგენის რაიონი); საბოლოკე (სტალინირის რაიონი); ქურდული (ხულოს რაიონი); ყაურმა (ბოგდანოვკის რაიონი); ჯორთისი (ლენინგორის რაიონი) და სხვ.

ეჭვს არ იწვევს, რომ თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებები, როგორიც არის ნაქურდევი, ნაოორევი, საბოლოკე და სხვ., საეჭვებით მიუღებელია.

3. ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებმაც სრულიად დაკარგეს თავიანთი შინაარსი და ჩვენს თანამედროვეობას აღარ შეესაბამებიან: გიაურარხი (მარნეულის რაიონი) და სხვ. ან ავიღოთ ისეთი სახელი, როგორიცაა სალამალეიქო (დმანისის რაიონი). ეს სიტყვა თურქულად „გამარჯვებას“ ნიშნავს და შეიძლება სოფლის სახელწოდებაც ასე შეიცვალოს.

აუცილებელია ასეთ სახელწოდებათა შეცვლა. სასურველია ამ საქმეს ხელი მოჰკიდონ არა მარტო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საინფორმაციო-სტატისტიკურმა განყოფილებამ და სპეციალისტმა გეოგრაფებმა, არამედ ცალკეული რაიონების ხელმძღვანელებმაც, რომლებიც უკეთ შეძლებენ ახალ, საბჭოთა ეპოქის შესაფერის გეოგრაფიულ სახელწოდებათა შერჩევას.

გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ზარდალიშვილი,
ასპირანტი ი. მამაიაშვილი.

ჩაის ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის 25 სექტემბრის ცნობებით

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურისა	სექტემბრის დასაწყისის ჩათვლით
ბათუმის	90,5	60,9
ქობულეთის	89,3	55,5
სულ აჭარის ასსრ-ში	**89,6**	**56,8**
გალის	78,2	31,9
ოჩამჩირის	77,8	31,3
გულრიფშის	83,8	38,4
სუხუმის	69,2	8,7
გუდაუთის	93,4	58,0
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	**79,6**	**32,8**
მახარაძის	81,7	34,5
ჩოხატაურის	71,0	14,8
ლანჩხუთის	76,6	23,9
სამტრედიის	62,7	16,0
წულუკიძის	61,4	12,1
ქუთაისის	73,1	11,6
წყალტუბოს	53,8	2,1
ტყიბულის	69,4	15,4
ცხაკაიას	64,2	16,0
აბაშის	49,4	9,8
გეგეჭკორის	80,7	33,0
ზუგდიდის	79,9	36,5
წალენჯიხის	86,4	47,0
ჩხოროწყუს	74,3	23,3
ხობის	68,7	25,4
თერჯოლის	65,1	1,6
ზესტაფონის	64,4	0,8
სულ ქუთაისის ოლქში	**77,1**	**27,9**
სულ საქართველოს სსრ-ში	**79,7**	**32,7**

ქართველი პოეტები XIX ყრილობას

დიდი პარტიის დიდი ყრილობა

○

გიორგი კაშახიძე.

○

ოქტომბრის მზიურ მონაპოვრით ამაღლებული
ბჭობად დაჯდება ბარაქიან ოქტომბრის თვეში,
იგი საქვეყნოდ სასახელო საქმით ქებული
უკვე მოქმედებს ლენინიზმის ალამით ხელში.

მოქმედებს მტკიცედ და ქვეყანაც მტკიცე გზით მიჰყავს,
პარტიის რჩეულს აქვს სიკეთე ჩვენთვის ულევი.
გულით ველოდით მის შეკრებას, მის დიად სიტყვას,
პარტყრილობათა დიდ სინათლეს დაჩვეულები.

ველოდით გულით, — და ჰა იგიც ძალღონეს გვმატებს,
ახალი გზნებით აამღერა ცხოვრება ჩვენი.
გვაცნობს შემოქმედ თავის სიბრძნეს და გულის ნადებს
ბრძენი მამების — ლენინის და სტალინის ენით.

აძლევს ასპარეზს ცის თაღზედაც ფიქრსა და აზრებს,
ყველგან სარბიელს უფართოებს შრომის გმირობას,
გვრაზმავს, გვამაღლებს კომუნიზმის შენების გზაზე
დიდი პარტიის შორსმხედველი დიდი ყრილობა.

ის კომუნიზმის კარიბჭისკენ თვალს ფართოდ ახელს,
გზას უხსნის დღემდე მამულისთვის დაფარულ მადანს,
ახალ ქალაქებს, ახალ ჰესებს, ზღვებსა და არხებს
სამშობლოს ახალ, თვალუწვდენელ რუკაზე ხატავს.

საზღვრების იქით შვებად ელის მის შუქს მრავალი,
ამღერებული მეგობრობის დიადი მცნებით,
შესტრფიან ხალხის პარტიები, წინ მიმავალნი,
ჩვენი პარტიის გულმართალი უმცროსი ძმები.

ყვავილნარებით უდაბნოებს სუნთქვას უნაზებს,
შრომას ყოველგან ათესვინებს სიკეთეს უხვად.
კრემლის კოშკივით ამაღლებულ მის ტრიბუნაზე
კომუნიზმი და მშობლიური მშვიდობა ჰქუხან.

ოქტომბრის მზიურ მონაპოვრით ამაღლებული
ბჭობად დაჯდება ბარაქიან ოქტომბრის თვეში,
იგი საქვეყნოდ სასახელო საქმით ქებული
უკვე მოქმედებს კომუნიზმის ალამით ხელში.

ყრილობიდან ყრილობამდე

○

ს. ეული-ძურიძე.

○

ყრილობიდან ყრილობამდე
გზა და ხიდი გადებული
გავიარეთ ერთად, მწყობრად,
გული გვქონდა ანთებული,
მტრებს ვუტევდით ვაჟკაცურად,
ფიცი გვქონდა დადებული.

ჩვენ გავშალეთ ძმობის დროშა
უძლეველი ხალხის ძალად,
მოწოდება ბელადისა
იქცეოდა ქარიშხალად,
შემოსეულ მხეცთა ბუნაგს
გარს ვერტყმოდით ცეცხლის რკალად.

ყრილობიდან ყრილობამდე
იერიშით მთა დავძარით,
უდაბნოში ზღვები ჩავდგით,—
გავაცოცხლეთ მიწა მკვდარი,
ქარსაფარი ტყეებითა
დავატყვევეთ მინდვრად ქარი,
ჩვენ მოგვყავდა გაზაფხული,
ჩვენ მოგვყავდა ყველგან დარი.

და დღეს ვხვდებით დიდ ყრილობას.
მიგვიპყრია მისკენ თვალი,
ვინც შეუშრო ტანჯულთ ცრემლი,
არის ხალხთა წინამძღვარი,
ვისი სახეც ყველგან ბრწყინავს
და შუქს აფრქვევს მზის სადარი,
მას შეხვდება ყრილობა და
დაიქუხებს: გაშა სტალინ!

ჰიმნი პარტიას

○

კალე გოგოხიძე.

○

კომუნისტურო პარტიავ ჩვენო—
ლენინ-სტალინის აზრით შობილო,
ხალხის პირმშოვ და ხალხივით ბრძენო,
ბრძოლების ცეცხლში გამოწრთობილო!

შენ,—კომუნიზმის დიდო ავტორო,
ჩვენს ოცნებაზე უფრო მაღალო,
ყოველ ჩაგრულის მხსნელო, პატრონო,
ხალხთა მშვიდობის ბაირახტარო!

დიდება შენდა, პარტიავ ჩვენო,
დიდ ბელადების სიბრძნით ქებულო,
ხალხის პირმშოვ და ხალხივით ბრძენო,
ხალხთა ხსნისათვის დაბადებულო!

წიგნის თარო

აკაკი. წაკვესები. კრებულის მეორე ნაწილში მოთავსებულია „პატარა ამბები დიდ პოეტზე“. მათი ლიტერატურული დამუშავება ეკუთვნის ლ. ასათიანს. რედაქტორი გ. ნატროშვილი. „საბჭოთა მწერალი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1951 წ., ტირაჟი 25.000, გვ. 173, ფასი 3 მან. 50 კაპ.

ქართული ხალხური ეპოსი. ფიდა კვიწინაძის ნაამბობი. ჩაწერა, გამართა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ნ. ღლონტმა. რედაქტორი ქ. სიხარულიძე. **სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო** გამომცემლობა. 1952 წ., ტირაჟი 5.000, გვ. 101, ფასი 2 მან. 30 კაპ.

ნ. ა. ყიფშიძე—ბორჯომი და მისი ხეობა. სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი რუსულ ენაზე. რედაქტორი დ. ვ. ჯავახიშვილი. წიგნი ილუსტრირებულია. საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობა. 1952 წ., ტირაჟი 10.000, გვ. 156, ფასი 6 მან. 60 კაპ.

კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური ომის ფაქტების გამომკვლევი საერთაშორისო სამეცნიერო კომისიის მოხსენებიდან

პეკინი, 24 სექტემბერი. (საკდისი). აქ ოთხ ენაზე — ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ და ჩინურ ენებზე გამოქვეყნდა „კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური ომის ფაქტების გამომკვლევი საერთაშორისო სამეცნიერო კომისიის მოხსენება“.

მოხსენების წინასიტყვაობაში ნათქვამია:

„1952 წლის დამდეგიდან არაჩვეულებრივი ხასიათის მოვლენებმა, რომლებიც კორეასა და ჩინეთში ხდებოდა, ამ ორი ქვეყნის ხალხები და მთავრობები აიძულა გამოეცხადებინათ, რომ ისინი გახდნენ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების ობიექტი.

მთელმა მსოფლიომ სხვადასხვა გზით უკვე დაგმო ბრძოლის ასეთი საშუალებანი და გამოთქვა შეძრწუნება მათ გამო. ასეთ ბრალდებათა სერიოზულობა არავის არ დარჩება შეუმჩნეველი. სწორედ ამიტომ შეიქმნა საერთაშორისო სამეცნიერო კომისია ფაქტების ადგილობრივ შესასწავლად. კომისია შედგება მეცნიერთაგან, რომლებიც ისწრაფვოდნენ, თავი დაეღწიათ ყოველგვარი წინასწარი აზრისათვის. კომისიამ, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა, გამოკვლევა მოახდინა მაქსიმალური ობიექტურობით და გამოიყენა ყველაზე ზუსტი მეცნიერული მეთოდი“.

„1952 წლის 22 თებერვალს, — ნათქვამია მოხსენებაში, — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა პაკ ხენ ენმა და 8 მარტს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ჯოუ ენ-ლაიმ ოფიციალური პროტესტი განაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების წინააღმდეგ. 1952 წლის 25 თებერვალს ჩინეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა გო მო-ჟომ, მიმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს აღმასრულებელი ბიუროს სხდომაზე ქალაქ ოსლოში 29 მარტს ბ-ნმა გო მო-ჟომ, რომელსაც თან ახლდნენ ჩინეთის სხვა დელეგატები, და კორეის წარმომადგენელმა ბ-ნმა ლი გი ენმა ბიუროს წევრებსა და სხვადასხვა ხალხთა დელეგატებს წარუდგინეს დაწერილებითი ინფორმაცია ამ საკითხებზე. დოქტორმა გო მო-ჟომ განაცხადა, რომ ჩინეთისა და კორეისათვის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი საკმაოდ თავისუფალი არ არის პოლიტიკური გავლენისაგან, რომ მიუკერძოებელი გამოკვლევა მოახდინოს მომხდარი ამბების ადგილზე. უფრო გვიან ასეთივე აზრი გამოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დაწესებულების — ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წინააღმდეგ. მაგრამ ორივე მთავრობას სურდა მოეწვია მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ მეცნიერთაგან შემდგარი საერთაშორისო კომისია, რათა იგი გამგზავრებულიყო ჩინეთსა და კორეაში იმ ფაქტების პირადად გაცნობის მიზნით, რომლებსაც ბრალდება ემყარებოდა. ეს მოღვაწეები შეიძლებოდა არც კი ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი მშვიდობის მომხრეთა მოძრაობასთან, მაგრამ ცნობილი უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი ერთგულებით ჰუმანიზმის იდეებისადმი. აღმასრულებელმა ბიუროომ განიხილა კორეელი და ჩინელი ხალხების მიერ წამოყენებული ბრალდებანი და ერთხმად მიიღო რეზოლუცია ასეთი საერთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ.

ოსლოში სესიის დამთავრებისთანავე სცადეს მიეღოთ თანხმობა ევროპის, სამხრეთ ამერიკისა და ინდოეთის მრავალი მეცნიერისა, ყველაზე ცნობილი სპეციალისტებისა იმ დარგებში, რომლებიც დაკავშირებულია ამ საკითხთან. როგორც კი ცნობილი გახდა, რომ მათ მიიღეს წინასწარი მიწვევა, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული თანამედროვე ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა და ჩინეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრმა დოქტორმა ციან სან-ციანმა, რომელიც ოსლოს სესიის შემდეგ ევროპაში დარჩა როგორც რწმუნებული კომისიის შესაქმნელად, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა და ჩინეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ გო მო-ჟოს სახელით მიწვევა დაგზავნა. მალე შეგროვდა კომისიის წევრთა საჭირო მინიმუმი და ივნისის შუა რიცხვებში ისინი ჩინეთში გაემგზავრნენ.

საერთაშორისო სამეცნიერო კომისიის წევრები ქალაქ პეკინს ჩამოვიდნენ 21 და 28 ივნისს. მათ გულთბილად შეხვდნენ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიისა და ჩინეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წარმომადგენლები“.

კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ თვალსაჩინო მეცნიერები:

დოქტორი ანდრეა ანდრეენი (შვეცია), ბ-ნი ჟან მალტერი (საფრანგეთი), დოქტორი ჯოზეფ ნიდჰემი (შეერთებული სამეფო), დოქტორი ოლივიერო ოლივო (იტალია), დოქტორი სამუელ ბ. პესოა (ბრაზილია) და დოქტორი ნ. ნ. ჟუკოვ-ვერეენკოვი (სსრ კავშირი).

მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს დოქტორმა ფრანკო გრაციოზიმ (იტალია), დოქტორმა ციან სან-ციანმა (ჩინეთი) და სხვა პირებმა.

კომისია მუშაობდა ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრებთან, აგრეთვე ყველა იმ სპეციალისტთან მჭიდრო კონტაქტით, რომელთა მოღვაწეობის სარბიელი დაკავშირებული იყო შესასწავლ საკითხთან.

„კომისიის სხდომებს, — ნათქვამია მოხსენებაში, — სხვადასხვა ხასიათი ჰქონდა. ზოგჯერ მისი წევრები მთელი საათობით განიხილავდნენ სამეცნიერო საკითხებს დახურულ თათბირებზე, ზოგჯერ ჩინელი მეცნიერი ექსპერტების თანდასწრებით; დროდადრო სხდომები მიმდინარეობდა დიდ დარბაზებში, სადაც კომისიის წევრები ისმენდნენ მრავალი დამსწრის ჩვენებას, რომლებიც უღრეესად სხვადასხვა სოციალურ ფენას ეკუთვნიან.

მოწმეთა შორის იყვნენ ავრეთვე დაზვერვის ტყვე აგენტი და ტყვედ წამოყვანილი ოთხი მფრინავი. ზოგჯერ 2-3 კაცისაგან შემდგარ სპეციალურ ქვეკომისიებს ეკალებოდათ შეესწავლათ ცალკე საკითხები ჩინელ კოლეგებთან ერთად და შემდეგ მოხსენება გაეკეთებინათ კომისიისათვის. კომისიის წევრები მთელ დღეებს ატარებდნენ პეკინის, შენიანის (მუკდენი) და ფხენიანის ლაბორატორიებში, სადაც ჩინელი და კორეელი მეცნიერები დაწვრილებით აცნობდნენ მათ თავიანთი კვლევის შედეგებს. კომისიის წევრებმა, როცა ამისი საჭიროება წარმოიშვა, ინარგებლეს პეკინისა და შენიანის საუცხო ბიბლიოთეკებით.

ამ მოხსენების დამატებათა მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება ჩინელი და კორეელი სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი მასალებისაგან. ამავე დროს კომისია ფიქრობდა, რომ უნდა გასცნობოდა პირვანდელ მეცნიერულ მონაცემებს, რომლებიც წლის დამდეგს ბრალში გამოქვეყნებული დოკუმენტების საფუძველს შეადგენდნენ. საჭირო იყო გადაეთვალიერებინათ ეს დოკუმენტები, მოეცათ ერთგვარი ახსნა-განმარტება, გამოერკვიათ გაუგებრობა, დაეზუსტებინათ მცდარი დებულებანი, რომლებიც შემდეგ გამოსწორებულ იქნა, აგრეთვე აღმოეფხვრათ შეცდომები თარგმანში და სხვ. შეასრულა რა ამ მიმართულებით უდიდესი სამუშაო, რომლის შედეგები შეიძლება მოინახოს მრავალ დამატებაში, კომისია მივიდა საერთო დასკვნამდე, რომელიც, არსებითად, ადასტურებს წინანდელი გამომკვლევი კომისიების იმ მოხსენებათა ძირითად დებულებებს, რომლებიც პრაღაში გამოქვეყნდა“.

როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, „გარდა იმისა, რაც კომისიის წევრებმა პირადად ნახეს და გაიგონეს და რისთვისაც პასუხისმგებელი არიან როგორც მოწმენი, კომისია უნდა დაყრდნობოდა კორეულ და ჩინურ დოკუმენტებს. თუმცა კომისიის მიზეზი არა ჰქონია ეჭვი შეტანა ჩინელი და კორეელი სამედიცინო და სხვა მეცნიერი მუშაკების კომპეტენციასა და კეთილსინდისიერებაში, კომისიას მაინც არ უგულებელუყოფია სიფრთხილის არც ერთი ღონისძიება. კომისია დაუღალავი იყო შემთხვევათა გარჩევაში და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თვითონ უშუალოდ გასცნობოდა ფაქტებს, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო. კომისიის წევრები მუდამ ფრთხილად იყვნენ და თავს იცავდნენ პოლიტიკური, ეთიკური და ემოციური ზეგავლენისაგან. თვითეული ცდილობდა ყოფილიყო დინჯი და ობიექტური.

მოხსენების განყოფილება, რომელსაც ეწოდება „დოკუმენტაცია“, შეიცავს იმ დოკუმენტების მიმოხილვას, რომლებიც კომისიამ შეისწავლა და მოყვანილია მოხსენების დანართებში.

მოხსენების ტექსტში იმ დოკუმენტების დამოწმება, რომლებიც წინათ გამოქვეყნდა, აღნიშნულია ბრაღის მშვიდობის მსოფლიო საბჭომ) აღნიშნულია SJÄ; სინხუას საგენტოს ცნობები — NCNA; საერთაშორისო სამეცნიერო კომისიის დოკუმენტები ჩინეთის შესახებ აღნიშნულია JSCC, ხოლო კორეის შესახებ — JSCK.

მოხსენების შემდეგი განყოფილება სათაურით „ბაქტერიოლოგიური ომი, რომელსაც იაპონიის არმია ეწეოდა ჩინეთში 1940-1944 წლებში“, შეიცავს მეორე მსოფლიო ომის დროს ჩინეთის წინააღმდეგ იაპონელების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ფაქტების მიმოხილვას.

კერძოდ, კომისია აღნიშნავს, რომ „იაპონელებმა რამდენიმე რაიონში ჩამოყარეს შავი ჭირით დასენიანებული რწყილები, რის შედეგადაც მათ შეძლეს გამოეწვიათ მნიშვნელოვანი რაოდენობა ბუბონური შავი ჭირით დაავადებისა იმ ადგილებში, სადაც ჩვეულებრივად იგი ეპიდემიური არ ყოფილა, მაგრამ სადაც საკმაოდ მოიპოვებოდა ამ ავადმყოფობის გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობები“.

თავისი მუშაობის პროცესში კომისიას შესაძლებლობა ჰქონდა დაეთვალიერებინა რამდენიმე ეგზემპლარი ბაქტერიოლოგიური „ბომბი“ (ასეთი ბევრი არ დარჩენილა), რომლებსაც ამზადებდნენ იაპონელი ბაქტერიოლოგის ისაი ს

კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური ომის ფაქტების გამომკვლევი საერთაშორისო სამეცნიერო კომისიის მოხსენება

(დასასრული)

რადგან ისინი მეტად დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს 1952 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში, როცა ჩრდილოეთ კორეისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ველები დაფარულია თოვლით. კომისიას არ გასძნელებია დაედგინა, რომ ამ მწერთა მასები, რომლებიც გაფანტული იყო ზედაპირზე, მეტ წილად იპოვნა და მოსპო ბევრმა უბრალო ადამიანმა, ყველა ასაკის ქალმა და მამაკაცმა ისე სწრაფად, როგორც კი ის შესაძლებელი იყო. 18 სახეობიდან, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, სულ ცოტა 12 სახეობას მნიშვნელოვანი სეზონური ანომალიები აქვს. ისინი მასობრივად აღმოჩენილ იქნენ ჩვეულებრივ ვადებზე 6-14 კვირით ადრე ისეთ ადგილებში, სადაც ნორმალურად არ უნდა გაჩენილიყვნენ, თუ მხედველობაში მივიღებთ კომპეტენტურ ენტომოლოგთა პირად გამოცდილებასა და ლიტერატურულ მასალებს, საშუალო სხეობა შეადგენს 9 კვირას, ე. ი. 2 თვეზე ცოტა მეტს.

აქ არის ბევრი საინტერესო მომენტი: საშუალო ზომის მრავალი ათასი ბუზის თავმოყრას ადგილად შეამჩნევს ადამიანი, მაგრამ ბოლოფეხიანები (isotoma neigishina borner) მეტად პატარა ზომისა არიან (სიგრძე 2 მილიმეტრამდე) და ეს მწერი ძალიან დიდი რაოდენობით და ძალიან მჭიდროდ უნდა იყოს თავმოყრილი, რომ მოსახლეობის ყურადღება მიიპყროს.

ციფრები მწერების პოვნის დროს მჭიდროდ თავმოყრის შესახებ შეძლებისდაგვარად შეკრებილია და გაკეთებულია ცხრილად.

დიდმნიშვნელოვანი დაკვირვება, რაც ერთერთმა ჩინელმა ენტომოლოგმა მოახდინა (დოკუმენტი SIA (12), ის არის, რომ Hylemyia ბუზების ზოგიერთ გროვაში, რომლებიც ჩნდება —12 გრადუსი ტემპერატურის დროს, იყო დიდძალი მომწიფებული ინდივიდი, რომლებსაც შეეძლოთ კვერცხის დადება, რაც აღნიშნულ პირობებში მეტად უჩვეულო რამ არის. ასევე აკვირვებს ადამიანს თოვლზე ჭრიჭინის— gryllus testaceus პოვნის შემთხვევა. ამ ჭრიჭინის ბიოლოგია წარმოადგენს პეკინში 1951 წელს დაწერილი განსაკუთრებული სტატიის საგანს. ამ სახეობის ათასობით მოზრდილი ინდივიდი განდა მარტში ლიაოდუნის პროვინციაში კვანდიანის ახლოს ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში კორეის საზღვართან, ე. ი. მაშინ, როცა პეკინშიც კი სადაც უფრო რბილი ჰავაა, ვიდრე ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, არ აღმოჩენილა აქტიური ფაზების ინდივიდები, ჭრიჭინები კვერცხის ფაზაში იყვნენ.

მაგრამ ძნელი მისახვედრია, თუ ესოდენ ბევრი სახეობის მწერები რატომ ჩნდებიან ერთსა და იმავე დროს მასობრივად ბუნებრივ პირობებში? კომისიამ მიიღო ტრობები, რომ 1951-1952 წლების ზამთრის მეტეოროლოგიური პირობები კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში საკმაოდ ნორმალური იყო. ამიტომ სრულიად არ არის გასაკვირველი, რომ ჩინელები და კორეელები ამ არაჩვეულებრივ მოვლენებს ამერიკელთა თვითმფრინავების თავდასხმებს უკავშირებენ. ეს თვითმფრინავები, როგორც მოწმეები აღნიშნავენ, ყრიდნენ არაფეთქებად და ფეთქებად საგნებს, რომლებიც ფანტავდნენ მწერებს. კომისიამ გამოჰკითხა ზოგიერთ მოწმეს და დარწმუნებულია, რომ ისინი გულწრფელი და კეთილი ნების ადამიანები არიან".

„შეიძლებოდა აგრეთვე გვეფიქრნა, — ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში, რომ მწერების სახეობათა მნიშვნელოვანი რაოდენობის არაჩვეულებრივად ადრე გამოჩენა უნდა აიხსნას მწერთა გამოჩენის წინ ბუნებრივ პირობებში მომხდარი ცვლილებებით. კომისიამ გაამათილა ეს მოსაზრებანი იმით, რომ გაანაწილა მწერთა სახეობანი მათი გამოჩენის თანდათანობის მიხედვით და გრაფიკულად დაუპირისპირა ერთმანეთს ნორმალური და ანორმალური გამოჩენა და სხვა ასეთი ანომალიები. თუ მარტოოდენ ბუნებრივი ფაქტორი თამაშობს როლს, მაშინ ნორმალური და ანორმალური გამოჩენის ორი მრუდი პარალელური იქნება. საკმარისია ერთი თვალის გადავლება, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს ასე არ არის. ყოველივე ეს მოწმობს მწერთა გავრცელების ხელოვნურ ხასიათს.

განყოფილებაში „სამედიცინო შენიშვნები ჩამოყრილ მწერთა შესახებ" მოყვანილია ამ მწერთა და ობობისებრთა მოკლე აღწერა.

როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, „ყველაზე ხშირად ჩამოყრილ მწერთა სახეობას წარმოადგენს შავი ბუზი Hylemyia Sp. ამ გვარეობის ბუზები განსაკუთრებით გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც მათი 500-ზე მეტი სახეობაა, ამასთან ბევრი სახეობანი დაფრინავენ ადამიანის საცხოვრებელ ბინაში. რამდენადაც ზოგიერთი სახეობანი ადამიანის ფეკალიებში ვითარდებიან, ისინი, ბუნებრივია, დიდ როლს ასრულებენ როგორც ნაწლავთა დაავადების მექანიკური გადამტანები. Hylemyia-ს ბევრი სახეობა ზამთრობს მიწაში ეპურის სტადიაში და ჩვეულებრივ დიდი რაოდენობით მაისზე ადრე არ ჩნდება. ბუნებრივ პირობებში ბუზები შეიძლება დასენიანდნენ მცენარეთა ავადმყოფობის აღმძვრელი სხვადასხვა ბაქტერიით".

მოხსენებაში მოყვანილია აგრეთვე ნეხვის, ოთახისა და სახლის ბუზების, მეგაზაფხულების, ბოლოფეხიანების, ადამიანის რწყილების, Ptinuspur ხოჭოს და ობობების აღწერილობანი.

მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ „მეცნიერულ ლიტერატურაში არის მწერთა და ობობათა დიდი რაოდენობით ხელოვნური მოშენების აღწერილობა" და რომ „ზოგიერთი ჩამოყრილი მწერი დაავადებათა ცნობილ გადამტანს წარმოადგენს". მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „ლაბორატორიებში შეიძლება ხელოვნურად გადადდეს გადამტანის დასენიანება და გაძლიერდეს პათოგენური მიკროორგანიზმების ვირულენტობა".

იმ განყოფილებაში, რომლის სათაურია „ფიტოპათოლოგიური მონაცემები", მოხსენების ავტორები აღნიშნავენ „ფიტოპათოლოგიური ომის" შემთხვევებს — ამერიკის თვითმფრინავებიდან დასენიანებული მცენარეული მასალის პაკეტების ჩამოყრას.

„დადგენილ იქნა, — ნათქვამია მოხსენებაში, რომ სოიის ღერები და პარკები დასენიანებული იყო Cercospora sojini (Hara)-თი, Cercosporina kikuchii-ის სინონიმი (Matsumoto et tomoyasu). ეს სოკო კორეასა და ჩინეთში მცენარეთა ცნობილი მავნებელია, რომელსაც შეუძლია სოიის პარკის სერიოზული დაზიანება და დაღუპვა გამოიწვიოს. პათოგენური ორგანიზმები ნაპოვნი იყო მცენარეთა ნაშთების ქსოვილში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მასალა მთლიანად იყო დასენიანებული და არა მარტო ზედაპირზე. ზოგიერთი ფოთოლი დასენიანებული იყო glomerella sp. ანთრაკნოზით ანუ Colletotrichum-ით, როგორც მას უწოდებენ უნაყოფო სტადიაში. ამ პარაზიტს ჰყავს მასპინძლის ფართო წრე და აზიანებს ვაშლის, მსლის ხეებს და ბამბის ყლორტებს, როგორც ექსპერიმენტული დასენიანების დროს დამტკიცდა".

მოხსენებაში მოყვანილია „ფიტოპათოლოგიური ომის" შემთხვევა, რაც ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ლიაოდუნის პროვინციის ქალაქ ანდუნის მაზლობლად მდებარე სოფელ სუნძიაოშში მოხდა, სადაც „ამერიკის თვითმფრინავების ერთ-ერთი შემოჭრის შემდეგ აღმოჩენილ იქნა გაფანტული სიმინდის მარცვლები. აღმოჩენილ იქნა, რომ ეს მარცვლები დაზიანებულია Thecaphora-ს სახეობით, რომელიც ჰგავს Thecaphora deformaus-ს, მაგრამ მისი იდენტური არ არის. ეს არის ამერიკასა და ევროპაში პარკოსან მცენარეთა ცნობილი მავნებელი. მაგრამ ამ შემთხვევაში ნაპოვნი ფიტოპათოგენური ორგანიზმი ჩინეთში არასოდეს არ ყოფილა აღნიშნული".

„დასასრულ, — ნათქვამია მოხსენებაში, — შეიძლება ითქვას, რომ მცენარეთა დაავადების გავრცელებას უთუოდ განსაზღვრული როლი ჰქონდა ბიოლოგიურ ომში, რასაც კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში (მანჯურიაში) ეწევიან".

ამას წინათ თურქეთს ეწვია „შავი ჭირის გენერალი" რიჯუეი, რომელმაც დაათვალიერა სარიყამიშისა და ყარსის რაიონები, აგრეთვე იგი არზრუმში ეთათბირა თავის თურქ მსახურებს.

(გაზეთებიდან)



ოკეანესგადმელი „შორსმჭვრეტელის" საბედისწერო ნაბიჯი

ნახატი ი. ქოქიაშვილისა

დაიხურა რუმინეთის დიდი ეროვნული კრების მე-13 სესია

ბუქარესტი, 25 სექტემბერი. (საკდესი). დღეს რუმინეთის დიდი ეროვნული კრების მე-13 სესიის დილის სხდომაზე მოხსენება დიდი ეროვნული კრების არჩევნების საარჩევნო კანონის პროექტის შესახებ გააკეთა იუსტიციის მინისტრმა დეპუტატმა სტელიან ნიცულესკუმ. მან საარჩევნო კანონის პროექტი დაახასიათა როგორც რუმინელი ხალხის დიდ დემოკრატიულ მონაპოვართა შედეგი.

მოხსენების გამო გამართული კამათის შემდეგ საარჩევნო კანონი მიღებულ იქნა ფარული კენჭისყრით 319 ხმით ორი ხმის წინააღმდეგ.

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც გამოცემულია მე-12 და მე-13 სესიებს შორის.

სესიის დახურვისას თავმჯდომარემ დუმიტრუ კოლუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახალხო პარლამენტმა ღირსეულად შეასრულა თავისი პასუხსაგები ამოცანა და რუმინელ ხალხს მისცა ახალი კონსტიტუცია, რომელსაც რუმინელმა მშრომელებმა სამართლიანად უწოდეს სოციალიზმის მშენებლობისა და რუმინელი ხალხის ბედნიერების კონსტიტუცია.

დუმიტრუ კოლუმ დეპუტატებს მიუღია სესიის მუშაობის წარმატებით დამთავრება და დღეგრძელობა უსურვა მთელი მშრომელი კაცობრიობის გენიალურ ბელადს ი. ბ. სტალინს.

დაბსწრენი ფეხზე დგებიან და მქუხარე, ხანგრძლივ ოვაციას აწყობენ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს პატივსაცემად.

აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის წინ

ამერიკის დელეგაციის განცხადება

პეკინი, 25 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას საagენტო გადმოგვცემს ამერიკის დელეგაციის განცხადებას. დელეგაცია 24 სექტემბერს პეკინს ჩამოვიდა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესზე.

განცხადებაში ნათქვამია:

შეერთებული შტატების მშვიდობისათვის მოძრაობის ხელმძღვანელთა სახელით, რომლებსაც მთავრობამ ნება არ დართო საზღვარგარეთ წამოსულიყვნენ, ამერიკის ხალხის სახელით, რომელიც მხურვალედ ესწრაფვის დიდ ჩინელ ხალხთან და მის დემოკრატიულ მთავრობასთან მტკიცე მეგობრობას, ჩვენ, დელეგატები, ჩამოვედით აქ, პეკინს, შეერთებული შტატებიდან. ჩვენ აქ მოვედით, რათა ვილაპარაკოთ ყველა იმის სახელით, ვისაც ლაპარაკს არ ანებებენ, მაგრამ ვისაც მეგობრობა და მშვიდობიანი ვაჭრობა სურს ყველა ხალხთან.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი შესაძლებელია, რათა დაბრუნების შემდეგ მართალი ფაქტები ვაცნობოთ შეერთებული შტატების ყველა კეთილ ნების ადამიანს, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იციან, თუ რა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა ჩინელმა ხალხმა, აგრეთვე გადავცეთ, რომ ჩინეთის მთავრობა და ჩინელი ხალხი ცდილობენ შექმნან პირობები მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის.

ჩვენ დიდ მადლობას ვუძღვნით ჩინეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტს იმისათვის, რომ იგი დაეთანხმა შეერთებული შტატების ხალხის სურვილს—მონაწილეობა მიეღო მშვიდობის ამ ისტორიულ კონგრესში. ჩვენ, ყველა ხალხის თანასწორობის პრინციპის ერთგულნი, ჩამოვედით პეკინში. ჩვენ ვიცით, რომ კეთილ ნებასა და მოლაპარაკებას შეუძლია ჩაფუშოს ომის გამჩაღებელთა გეგმები.

ჩვენ, ამერიკელი დელეგატები, დარწმუნებული ვართ, რომ აზიის ყველა ქვეყნის წარმომადგენელთა კონგრესი იქნება წყნარი ოკეანის რაიონის ხალხთა იმ სურვილის განხორციელების იარაღი, რომ ბოლო მოეღოს კორეის ომს, განიარაღდეს იაპონია და უზრუნველყოფილ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აზიის ხალხთა სრული წარმომადგენლობა თანასწორი უფლებებით.

უნგრეთში გამოუშვეს „მშვიდობის მესამე სესხი"

ბუდაპეშტი, 25 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოწოდება უნგრელ მშრომელებისადმი „მშვიდობის მესამე სესხზე" ხელმოწერის შესახებ.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება—1952 წლის 1 ოქტომბრიდან 15 წლის ვადით გამოუშვას „მშვიდობის მესამე სესხი" 1.300 მილიონი ფორინტის რაოდენობით მომგებიანი ობლიგაციების სახით.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 25 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 25 სექტემბერს გამოაცხადა:

განვლილ დღეს ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა. ფრონტების ცალკე უბნებზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად აღგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ.

ჩვენი არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დააზიანეს 4 თვითმფრინავი.

გენერალ ნამ ირის პროტესტი

პეკინი, 25 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას საagენტო კესონიდან გადმოგვცემს, რომ გუშინ კორეისა და ჩინეთის მთავარმა დელეგატმა გენერალმა ნამ ირმა მტკიცე პროტესტი განუცხადა ამერიკელთა მხარეს იმის წინააღმდეგ, რომ აპირებენ კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა რაზმების 11 ათასი ტყვე მებრძოლი გადასცენ ლი სინ მანს, რათა ისინი ჯარისკაცებად გამოიყენოს.

ამეამად, განუცხადა გენერალმა ნამ ირმა ამერიკელთა დელეგაციის მეთაურ ჰარისონს, მარტო ერთი საკითხი, სახელდობრ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხი, უშლის ხელს იმას, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ. სავსებით აშკარაა, რომ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხის გონივრული და მისაღები გადაწყვეტა შეიძლება გამოინახოს მხოლოდ ორივე მხარის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების გზით. ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით, რომ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხი მოლაპარაკების გზით მოგვარებულიყო. მაგრამ პროვოკაციული აქტი, რასაც თქვენი მხარე სჩადის, მოწმობს, რომ თქვენ არა გსურთ სამართლიან და გონივრულ საწყისებზე დაამყაროთ დაზავება კორეაში და შესრულოთ ხალხთა ნება, რომლებიც მშვიდობას მოითხოვენ. თქვენს მხარეს არავითარი უფლება არა აქვს ცალმხრივად გადაწყვიტოს ტყვედ ჩავარდნილი რომელიმე ჩვენი მებრძოლის ბედი. ჩვენი ტყვე მებრძოლების თვითნებური დაკავება იმ მიზნით, რომ ისინი გამოიყენონ საზარბაზნე ხორცად ეგრეთწოდებული „ინტერნირებული სამოქალაქო პირების" განთავისუფლების საბაბით, წარმოადგენს ცდას, რომ გააძლიეროთ თქვენი შეიარაღებული ძალები ამ სამხედრო ტყვეებით, რათა განაგრძოთ და გააფართოოთ კორეის ომი. ჩვენ ამას არასოდეს არ მოვითმენთ. თქვენმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აიღოს ხელი ამ ცალმხრივ უკანონო აქტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ დაგეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა ყველა სერიოზული შედეგისათვის, რაც შეიძლება ამ აქტს მოჰყვეს.

გენერალ ნამ ირის პროტესტი

პეკინი, 25 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას საagენტო კესონიდან გადმოგვცემს, რომ გუშინ კორეისა და ჩინეთის მთავარმა დელეგატმა გენერალმა ნამ ირმა მტკიცე პროტესტი განუცხადა ამერიკელთა მხარეს იმის წინააღმდეგ, რომ აპირებენ კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა რაზმების 11 ათასი ტყვე მებრძოლი გადასცენ ლი სინ მანს, რათა ისინი ჯარისკაცებად გამოიყენოს.

ამეამად, განუცხადა გენერალმა ნამ ირმა ამერიკელთა დელეგაციის მეთაურ ჰარისონს, მარტო ერთი საკითხი, სახელდობრ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხი, უშლის ხელს იმას, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ. სავსებით აშკარაა, რომ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხის გონივრული და მისაღები გადაწყვეტა შეიძლება გამოინახოს მხოლოდ ორივე მხარის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების გზით. ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით, რომ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხი მოლაპარაკების გზით მოგვარებულიყო. მაგრამ პროვოკაციული აქტი,

ახალი შეტევა ფრანგ მუშათა უფლებების წინააღმდეგ

პარიზი, 25 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა შეტანილ იქნას ეროვნული კრების განსახილველად კანონპროექტი „ნავსადგურებში შრომის ორგანიზაციის შესახებ". ამასთან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტატს-მდივანმა მარსელენმა განაცხადა, რომ ეს კანონპროექტი გაითვალისწინებს „ნავსადგურის ბარათის ჩამორთმევას დოკერისათვის, თუ იგი უარს განაცხადებს შეთავაზებულ სამუშაოზე" („ნავსადგურის ბარათი" დოკერს სამუშაოს მიღების უფლებას აძლევს.—რედ.).

გაზეთი „ლუმანიტე" აღნიშნავს, რომ ამ რეაქციული კანონპროექტის საშუალებით მთავრობას სურს მოუსპოს დოკერებს გაფიცვის უფლება.

მუშათა მოძრაობის ერთიანობისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისათვის!

მემარცხენე სოციალისტების მიმართვა

რომი, 25 სექტემბერი. (საკდესი). იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის პრესის ბიურო იუწყება, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთელმა რიგმა სოციალისტებმა და ისრაელის გაერთიანებული მუშათა პარტიის წარმომადგენელმა, რომლებმაც თავი მოიყარეს გენუაში 22 სექტემბერს იტალიის სოციალისტური პარტიის დაარსების მე-60 წლისთავის დღესასწაულის გამო, ამ პარტიის ხელმძღვანელობის წევრებთან ერთად და პიტრო ნენის თავმჯდომარეობით მიიღეს სოციალ-დემოკრატებისა და ლეიბორისტებისადმი მიმართვა, რომელშიც მოუწოდებენ მათ იმოქმედონ მშვიდობის დაცვისათვის.

იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის პრესის ბიუროს ცნობაში, ნათქვამია, რომ თათბირის მონაწილეებმა განიხილეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მდგომარეობა და აღნიშნეს, რომ საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის გაძლიერება და სულ უფრო ინტენსიური გამალებული შეიარაღება იწვევს მუშათა კლასის ცხოვრების პირობების შემდგომ გაუარესებას, იწვევს ახალ შეტევას პროფკავშირულ და პოლიტიკური თავისუფლებებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ამავე დროს ისინი არღვევენ ბიუჯეტების წონასწორობას, იწვევენ ინფლაციას, უმუშევრობას და საერთაშორისო ვაჭრობის ჩაკვლას. ეს მდგომარეობა შეუძლებელი იქნებოდა, მის შექმნაში რომ არ მონაწილეობდნენ კომისკო და ფრანკფურტის ინტერნაციონალი (შემარჯვენე სოციალისტების საერთაშორისო გაერთიანებანი.—რედ), რომლებიც ემორჩილებიან ატლანტიკის პოლიტიკას და, მაშასადამე, პასუხს აგებენ აღნიშნული მდგომარეობისათვის.

მაგრამ სულ უფრო სერიოზული ამბები და ატლანტიკის პოლიტიკის სულ უფრო აშკარა შედეგები იწვევენ ორიენტაციის შეცვლას მემარჯვენე სოციალისტური ორგანიზაციების მომხრეთა რიგებში.

ამ მიმართვის ხელმოწერნი იმედოვნებენ, რომ სოციალ-დემოკრატები და ლეიბორისტები შეიგნებენ თავიანთ შესაძლებლობას შეცვალონ

XIX ყრილობისადმი მიძღვნილი ველოსიპედი

(ფოტო)

დამთავრდა საქართველოს ... XIX ყრილობისადმი მიძღვნილი ... თბილისი-სიღნაღი-თელავი-მცხეთა — ბორჯომი-თბილისი.

21 სექტემბერს თბილისის ოლქის 20-მა ველოსიპედისტმა სტარტი აიღო ბერიას სახელობის ბოულინგიდან. ამ დღეს პირველი ეტაპი—თბილისი-სიღნაღი (106 კილომეტრი) წარმატებით დამთავრდა, ფინიშს ზოლი პირველად გაარღვია დინამოელმა სპორტსმენმა თ. მერკვილაძემ. დრო—4 საათი, 36 წუთი და 39,8 წამი.

მეორე დღეს ველოსიპედისტები სიღნაღიდან თელავისაკენ გაემართნენ. მეორე ეტაპში (53 კილომეტრი) გაიმართა სპორტული საზოგადოება „დინამოს" წარმომადგენელმა მ. ბეჟანიშვილმა.

წარმატებით იქნა გავლილი აგრეთვე ველოტურის დანარჩენი სამი ეტაპი. მესამე ეტაპში გაიმარჯვა ვ. ძებნიაურმა („სპარტაკი"), მეოთხე ეტაპში—ვ. ჯოხიძემ („ისკრა"), მეხუთე ეტაპში—ვ. ჯონჯოლიანმა („ისკრა").

ველოტურის ხუთივე ეტაპის რთული ტრასის გავლაში პირველობა მოიპოვა სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის" ველოსიპედისტმა ვ. ძებნიაურმა, რომელმაც 561 კილომეტრი დაფარა 24 საათში, 4 წუთსა და 53 წამში. მეორე ადგილი დაიკავა კ. საფრონოვმა („დინამო"), მესამე — მ. ბეჟანიშვილმა („დინამო").

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სპორტული საზოგადოება „დინამოს" ველოსიპედისტთა კოლექტივმა.

26 სექტემბერს ველოტურის მონაწილენი თბილისში დაბრუნდნენ. ქალაქის სპორტსმენებმა და მოსწავლეებმა ველოსიპედისტებს ბერიას სახელობის მოედანზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. გამარჯვებულებს გადაეცათ თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საოლქო კომიტეტის ჯილდოები.

რიგელ და თბილისელ კალათბურთელთა შეხვედრები

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მოწვევით ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისში ჩამოვიდნენ რიგის „დაუგავას" კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები.

რიგელმა კალათბურთელებმა თბილისში პირველი ამხანაგური შეხვედრები გამართეს 20 სექტემბერს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის კალათბურთის სტადიონზე.

საინტერესო აღმოჩნდა თბილისის „ნაუკასა" და რიგის „დაუგავას" ქალთა გუნდების შეჯიბრება, რომელიც დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 30 : 29.

თბილისის „დინამოსა" და რიგის „დაუგავას" ვაჟთა გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს რიგელმა კალათბურთელებმა ანგარიშით 43 : 36.

21 სექტემბერს გაიმართა მორიგი შეხვედრა თბილისის „ნაუკასა" და რიგის „დაუგავას" ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ—50:50.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — კულტურული მშენებლობის დიდი ამოცანები.

გულმართალი და პატიოსანი ვიყოთ პარტიის წინაშე — „პრავდის" 26/IX მოწინავე.

საერთო სათაურით „საქართველოს მეჩაიეებისა და მევენახეების შრომითი ვახტი პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად". წერილები: ნ. ბულისკერიას მაგალითისამებრ. ზესტაფონელმა მევენახეებმა დაიწყეს ყურძნის კრეფა. ნასაკრალის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ბრიგადეები. ყურძნის მაღალი მოსავალი.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება. პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში.

3. შეროვი — დავთესოთ სრულყოფილი თესლით. ირ. მიქელაძე — სტალინური ხუთწლედები.

მესამე გვერდი — საერთო სათაურით „მეტი ლეთონი სამშობლოს" წერილები: თ. ჯიბუტი—ორი ქალაქის მშენებლების შეჯიბრება. რუსთავის მეტალურგებისა და სომხეთის ცეცხლგამძლე მასალების ქარხნის მუშების მიმოწერა.

შ. შეყლაშვილი — ჭიათურის მარგანეცი მეხუთე ხუთწლედში.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

საქართველოს რადიოგადაცემათა 28 სექტემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

06.25—ქართული ხალხური სიმღერები; 07.30 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი; 09.20—საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები; 11.00 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 11.30 — „პიონერთა დაფიონის" საკვირაო გამოშვება; 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები; 12.45 — კამერული მუსიკის კონცერტი; 13.20 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" № 78; 14.45 — გადაცემა მოსწავლეთათვის—ანა აღლაძის პიესა „ანდროს ოცნების" რადიოინსცენირება; 16.00 — მ. ლებანიძის პოემა „ჩანდრას" რადიოინსცენირება; 16.45 — საბჭოთა კომპოზიტორების ლირიკული სიმღერები; 18.00—ფეხბურთის მატჩის ტრანსლაცია ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონიდან; 18.45 ქართული საოპერო და სიმღერეტო მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

20.30 — მეცნიერ მუშაკის ამხ. კ. რუსიტაშვილის საუბარი: „ლენინ-სტალინის პარტიის საშინაო პოლიტიკა ხალხთა მშვიდობის პოლიტიკაა"; 20.45 — სტალინური პრემიის ლაურეატის დ. გამრეკელის კონცერტი; 21.00 — გადაცემა მრეწველობის მუშაკთათვის; 22.30—ვ. ხატიაშვილის საუბარი „მხატვრული თვითმოქმედების ახალი აღმავლობისათვის"; 22.50 — ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტი; 00.05 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

„ჭლავხმსბიტის" თბილისის კანტორის ყველა საწყობში 1-დან 15 ოქტომბრამდე ეწყობა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სრული ინვენტარიზაცია. ამასთან დაკავშირებით „ჭლავხმსბიტის" თბილისის კანტორის საწყობებიდან საქონლის გაცემა იწარმოებს 30 სექტემბრამდე ჩათვლით.

ყველა ანგარიში იმ საქონლისა, რომელსაც **არ** გაიტანენ, 1 ოქტომბრიდან გაუქმდება.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს 1952-53 სასწავლო წლისათვის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე: ინგლისური ენის კათედრის გამგე-დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი, გერმანული და ფრანგული ენის კათედრის გამგე-დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი, ფიზიკური აღზრდის თეორიის კათედრის გამგე-დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი. ალგებრა-გეომეტრიის კათედრის გამგე-დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი, ფიზიკისა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკის კათედრის გამგე-დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი, პედაგოგიკის კათედრის გამგე-პროფესორი ან დოცენტი, რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე-პროფესორი ან დოცენტი, მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე-პროფესორი ან დოცენტი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შეაქვთ განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის ასლი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული, ატესტატის და დიპლომის ასლები წოდებისა და ხარისხის მინიჭების შესახებ, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული, სამეცნიერო შრომების სია, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან.

განცხადების შეტანის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 55.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის—დაუვიწყარი 1919; **მარჯანიშვილის სახელობის** — სასტუმროს დიალაბლისი; **გრიბოედოვის სახელობის**—სიყვარულთან ხუმრობა არ შეიძლება (აბონემენტი 21, 22); **მუსიკალური კომედიის** — თბილისის ცის ქვეშ; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—ქორწინება (აბონემენტი 2, დასაწყისი 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მისი მეგობრები (დასაწყისი 7 საათსა და 30 წუთზე); **სანკულტურის** — მშვიდობის სიმფონია.

მეუღლე ნუცა აბდუშელიშვილი-ცუცქირიძისა, შვილი შოთა, ძმები სანდრო, ლავრენტი ცუცქირიძეები ოჯახებით იუწყებიან **რაჟდენ ივანორის-ძე ცუცქირიძის** გარდაცვალებას. ჰანაშვილი 27-IX, 8 ს. გამოსვენება 28-IX, 2 ს. კამოს ქ. № 75.

ბიძაშვილი ს. გოგიბერიძე შვილებით იუწყება **ვალერიან ვლასას-ძე იმნაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-IX ლანჩხუთში.

შვილები ქეთო, მიხეილ, ვენერა და ქუქუნა, რძალი ლიდა აფხაზავები, სიძე ო. ფოფხაძე შვილებით იუწყებიან **თამარ პორფილეს ასულ აფხაზავ